



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 28 დეკემბერი 2018 წელი

დრო: 15:00 -17:00

შეხვედრის ადგილი: „ლიბერალური აკადემია თბილისი“-ს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
2. ლაშა ტულუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ალექსანდრა კალატოზიშვილი - ფონდი „სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი“
4. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - თავისუფალი არჩევანი
5. ეკა გეგეშიძე - ჟუნიორ ეჩივმენტი საქართველო
6. მანანა დევიძე - ფონდი კავკასიის ეკოლოგია
7. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
8. ნუგზარ კობრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
9. ნინო ხუბუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

განსახილველი საკითხები:

- ✓ მთავრობასთან ერთობლივი მაღალი დონის კონფერენციასთან დაკავშირებული საკითხები
- ✓ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მიერ გამოცხადებული რეგრანტინგი
- ✓ გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციების განაცხადის განხილვა
- ✓ სხვა საკითხები

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნათია კუპრაშვილმა. მან საკოორდინაციო საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

პირველ საკითხად ეროვნულმა კოორდინატორმა, ბატონმა ლაშა ტულუშმა, ისაუბრა მთავრობასთან ყოველწიური მაღალი დონის კონფერენციის ჩატარებისა და ორგანიზების შესახებ. მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ მაღალი დონის კონფერენციის დაფინანსება მოხდება ადენაურერის პროექტის ფარგლებში. კონფერენციის ჩატარების სავარაუდო პერიოდად განსაზღვრულია თებერვლის მეორე ნახევარი. მაღალი დონის კონფერენციაზე ძირითადი თემა იქნება რეგიონალური საკითხების განხილვა. ეროვნული პლატფორმის სამდივნომ მოამზადა აღნიშნული ღონისძიების დღის წესრიგის სამუშაო ვერსია რომელიც დაეგზავნება საკოორდინაციო საბჭოს. საკოორდინაციო საბჭოს წევრებს ქონდათ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები დღის წესრიგთან დაკავშირებით, ამიტომ ისინი თავიანთ მოსაზრებებს დააფიქსირებენ და მოხდება დღის წესრიგის საბოლოო ვარიანტის შემუშავება. შემუშავებულ დღის წესრიგში გაწერილია ის საკითხები რომლებზეც უნდა გაკეთდეს აქცენტები. ბატონმა ლაშამ დეტალურად ისაუბრა ღონისძიების სტრუქტურაზე. მაღალი დონის კონფერენციაზე დაგეგმილია პარალელური სესიების გამართვა თემატური ჯგუფების მიხედვით. პარალელურ სესიებში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები, ისე მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ კონკრეტული მიმართულებით. აღნიშნულ ღონისძიებაზე წარმოდგენილი უნდა იყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელები და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის რეგიონალური წარმომადგენლები.

მეორე საკითხად, პლატფორმის თავმჯდომარემ, ნათია კუპრაშვილმა, ისაუბრა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მიერ ეროვნული პლატფორმებისთვის გამოცხადებულ რეგრანტინგზე. თბილისში ჩატარებულ რიგით მე-10 ფორუმზე წარმოდგენილ ორგანიზაციებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ რეგრანტინგის პროცესში ჩამოყალიბებულია ახალი მიდგომები. ცვლილებების მიხედვით, 2019 წლიდან ეროვნული პლატფორმების, მათ შორის საქართველოს ეროვნული პლატფორმის დაფინანსება მოხდება ფორუმის ცენტრალური ბიუჯეტიდან, წლიური 50000 ევროს ოდენობით. დაფინანსება გაიყოფა 2 ნაწილად, საიდანაც ერთი ნაწილი (30000 ევრო) მოხმარდება სამდივნოს ფუნქციონირებას, ხოლო მეორე (20000 ევრო) - პლატფორმის წევრი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ აქტივობებს.

გრანტის ორივე ნაწილის გაცემა მოხდება შემდეგი პროცედურების დაცვით:

ა) სეკრეტარიატის ფინანსური მხარდაჭერა: საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრებმა **არაუგვიანეს 2019 წ. 10 იანვრისა (18.00 სთ.)** უნდა აცნობონ სამდივნოს, თუ სურთ კონკურსში მონაწილეობის მიღება. სამდივნო ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- გააჩნდეს პროექტის განხორციელების შესაძლებლობები (ადამიანური და ტექნიკური რესურსი)
- ჰქონდეს კოალიციური პროექტების მართვის გამოცდილება

- ჰქონდეს საერთაშორისო პროექტების განხორციელების გამოცდილება
- გააჩნდეს ინსტიტუციური მეხსიერების არსებობა (დაკავშირებული ეროვნული პლატფორმის მიმდინარე პროცესებთან)

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ, მათ შორის ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი კრიტერიუმის მიხედვით, ასევე პროექტის მოკლე დასაბუთება/ხედვა. ვადის გასვლის შემდეგ საკოორდინაციო საბჭო განახორციელებს მიღებული განაცხადების ადმინისტრაციულ შემოწმებას (განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭება კრიტერიუმებთან შესაბამისობას), ხოლო **2018 წ. 16 იანვარს** დანიშნული სამუშაო ჯგუფების შეხვედრებზე მოხდება კანდიდატებიდან სამდივნოს ფუნქციის შემსრულებელი ორგანიზაციის არჩევა (ყველა ჯგუფი კენჭს უყრის ყველა კანდიდატს, რის შემდეგაც კანდიდატების მიერ მიღებული ხმები შეჯამდება საკოორდინაციო საბჭოს მიერ). პროცესის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია ჯგუფების შეხვედრებში პლატფორმის წევრთა მაქსიმალური ჩართულობა და კენჭისყრაში მონაწილეობა. ჯგუფებში კენჭისყრის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია გადაეგზავნება ბრიუსელის სამდივნოს.

ბ) აქტივობების დაფინანსება: სეკრეტარიატი-ორგანიზაციის არჩევის შემდეგ, ამ ორგანიზაციისა და საკოორდინაციო საბჭოს მიერ გამოცხადდება კონკურსი და შეიქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას გრანტის ამ ნაწილის გაცემის თაობაზე. კონკურსის თემატური პრიორიტეტები განისაზღვრება სამუშაო ჯგუფებთან კონსულტაციის საფუძველზე.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე